# კანონი ჰიმნოგრაფიისა და მამულიშვილობისა

## არსენ ბულმაისიმისძე – „გალობანი წმიდისა მოციქულისა ნინოისი“

ქართველთა განმანათლებელს, წმიდა ნინოს, რომლის ცხოვრება და მისიონერული მოღვაწეობა რამდენიმე ჰაგიოგრაფიულ და ისტორიულ თხზულებაშია ასახული, უძღვნება არსენ ბულმაისიმისძის, XIII საუკუნის მეორე მეოთხედის საქართველოს კათალიკოსის ჰიმნოგრაფიული თხზულება „გალობანი წმიდისა მოციქულისა ნინოისი“. ეს ჰიმნოგრაფიული კანონი შედგება რვა გალობისაგან და მოიცავს 33 ხუთსტრიქონიან სტროფს. ყოველი გალობა, როგორც ჰიმნოგრაფიული კანონისთვისაა დამახასიათებელი, მთავრდება ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი სტროფით. საგალობელი იამბიკურია და აქვს აკროსტიქი: „ქებით უგალობ სასოსა ჩემსა ნინოს არსენი“. იგი იწყება ქრისტესადმი მიმართვა-თხოვნით, რომ ჰიმნოგრაფს შეაძლებინოს, საგალობლის მიხედვით, მოციქულის, წმიდა ნინოს ღირსეული შესხმა: „ქრისტე, აღსხენ ძნიად ბაგენი ჩემნი ქალწულისა ღმრთის მოციქულისა და ქადაგისა შენისა ნინოის შესხმად განმანათლე გონებაი, რათა მიუძღუნე ღირსსა მას ღირსნი სიტყუათა ყუავილნი“.



საგალობელში ყურადღება გამახვილებულია ნინოს დამსახურებაზე საქართველოს გაქრისტიანების საქმეში. აღნიშნულია, რომ „ხელითა მიძრავმან ბრძენმან“ წმიდა ნინომ მისთვის უცნობ ენაზე იქადაგა ქრისტიანობა, „ბარბაროზნი და უვიცნი ქედფიცხელნი... სიტყუათა თჳსითა მიერ ღმრთის ხელთ უსხნა შემოქმედსა“, რის შედეგადაც „უცნობელთა და მძიმეთა საბურველი გულითაი აღგვეხსნა“, „განღებულ იქმნა ქუეყნისა ბჭენი, მკუდარნი მას შინა პყრობილნი სატანისნი, განვთავისუფლდით შემოსილნი შენითა, არამედ შეედვა ძრწოლაი მეხისტეხითა და ზღუდენისნი უხმარ იქმნნეს სიცბილნი“. იგი „თჳსსა ერთგული მახარებელგყო ღმერთმან მოგავლინა და მოგუნიჭა ძალ თჳსად“. ნინოს ქადაგებისა და მოღვაწეობის შედეგად „აღმოფხვრნეს კერპნი საყარყველოთურთ მათით და აღემართნეს ქრისტეს ეკლესიანი, ჯუარსა ქრისტესსა კუართსა თანა და ხვეტსა, ნაცვლად არმაზ ბილწისა, უგალობენ მეოლნი სიონისანი, შენგან განათლებულნი“.

არსენის საგალობელი წარმოადგენს ნინოს სამადლობელს, ამ თვალსაზრისით იგი შეიძლება შევადაროთ „ღვთისმშობლის დაუჯდომელს“ ანუ „აკათისტოს“, ღვთისმშობლის სამადლობელ საგალობელს. ამ ჟანრის საფუძველს იძლევა წმიდა ნინოსადმი მიძღვნილი კვერების ციკლის საგალობელთა არსებობა, რომელიც სადიდებელ-სამადლობელზე ნაკლებ გავრცელებული არაა. ასეა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი საგალობლები, რომლებიც ჰიმნოგრაფები ღვთისმშობელს კვერებით მიმართავდნენ, რადგან იგია შუამავალი ადამიანსა და მაცხოვარს შორის; ნინო კი შუამდგომია ქრისტესა და ქართველთა შორის, წმიდა ნინო ქართველთათვის ღვთისმშობლის მონაცვლეა (რ.სირაძე) – ამას ისიც ადასტურებს, რომ წმიდა ნინო ვაზის ჯვრით შემოვიდა საქართველოში. ვაზი, ტევანი, ვენახი ღვთისმშობლის სიმბოლოა, რაც არაერთგზის გამოყენებულა ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში, რასაც თავის მხრივ, შესაქმის წინასწარმეტყველურმა ხილვამ დაუდო საფუძველი: „ძილსა შინა ვხედევდ და იყო ვენახი წინაშე ჩემსა და ვენახსა მას სამნი ძირნი და იგი აღმოსცენდა და აღმოიღო მორჩი და მწიფე იყვნეს ტევანნი იგი ყურძნისანი“ (შესქ.40, 10). ეს თვალსაზრისი მრავალგზისაა გამართლებული წმიდა მამათა ნაწერებში.

არსენი ღვთისმშობლის მონაცვლედ მიიჩნევს ნინოს და მით მსგავსი ნიშნებით წარმოაჩენს, რასაც საფუძვლად ჰაგიოგრაფიული მონათხრობი უდევს. ყოველთვის ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საგალობელში ქრისტეს კვართის და სვეტი წმიდის ხსენება.

არსენის საგალობელი მოგვითხრობს იმაზეც, რომ „სვეტი წმიდაი „ნინოს ხელთაღპყრობით აღემართა: „აღემართა (შა) სვეტი წმიდაი შენ მიერ აპყრობითა ხელთაითა“, რასაც ისევ ჰაგიოგრაფიული მონათხრობი უდევს საფუძვლად – ტაძრის მშენებლობისას მეშვიდე სვეტი ვერ აღმართეს. „ნინოს ცხოვრების“ ძველ – შატბერდულ რედაქციაში მეშვიდე სვეტი არ ჩანს, მხოლოდ ერთია ნახსენები და იგი წარმოადგენს სწორედ ცხოველ სვეტს, ნაძვის ხისაგან დამზადებულს. ლეონტი მროველი კი ადასტურებს შვიდი სვეტის არსებობას. ასევე შვიდ სვეტს ასახელებს ნიკოლოზ გულაბერისძე.

საგალობელში სამი სიწმიდეა ერთად მოხსენიებული: ჯვარი, საუფლო კვართი და სვეტი (სვეტი ცხოველი, სვეტი წმიდა). სამივე სიწმიდის ერთად მოხსენიება ნიშანდობლივია, რადგან ისინი ურთიერთკავშირში არიან. წმიდა მამათა მოძღვრების მიხედვით, ჯვარი ადამიანის სულიერი ხსნისა და ზესწრაფვის სიმბოლოა, რასაც უშუალოდ უკავშირდება სვეტი ნათლისას აღმართვა. როგორც ჩანს, ამიტომაცაა არსენის საგალობელში ერთ რიგში მოქცეული ჯვარი, საუფლო კვართი და სვეტი წმიდა, სვეტი ცხოველი.

არსენ ბულმაისიმისძის საგალობელში შეინიშნება ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რაც ქების ობიექტის მოღვაწეობითაა განპირობებული. ცნობილია, რომ ჰაგიოგრაფია ერის თვისებებს წარმოაჩენს ორმხრივად – დადებითად და უარყოფითად. ჰიმნოგრაფიაში ჟანრული თავისებურების გამო ამგვარი რამ იშვიათია. წმ.ნინოსადმი მიძღვნილი არსენის თხზულება ამ თვალსაზრისით საინტერესო მასალას იძლევა, მასში ისტორიული დროითაა შემოსაზღვრული ქართველთა უარყოფითი თვისება, რაც იმით გამოიხატა, რომ ერი ნინოს მოსვლამდე იმყოფებოდა „სატანისთა პყრობილებასა შინა“, მხოლოდ ნინოს ქადაგებამ და მოციქულობამ იხსნა იგი „ქუეყნისა ტყუეობისაგან“, „უცნობელთა და მძიმეთა საბურველი გულითაი აღგუეხსნა და ლოდები აღელი სამარეთაგან და დაყრილებულნი მკუდარნი საფლავთა მიერ შენითა აღვემართენით, წმიდაო ნინო, მოციქულო ქრისტესო“.

არსენ ბულმაისიმისძის დამოკიდებულება მხატვრული სიტყვისადმი ტრადიციულია, იგივე, როგორიც სასულიერო პოეზიაში დამკვიდრებული, იგი აღწევს სიტყვის გამომსახველობითი ძალის მაქსიმალურ გამოყენებას. სიმბოლოებითა და მხატვრული სახეებით აზროვნება ესთეტიზმისა და რელიგიურის საფუძველს ქმნის, რაც თავისთავად განაპირობებს რელიგიური, ეთიკური და ესთეტიკური ღირებულების მსგავს თვალსაზრისს, ამიტომ წმიდა ნინოს შედარება ლომსა და ორბთან, რასაც საფუძვლად ფსალმუნის მონაცემები დაედო, ლომისა ძალმოსილების, ძლიერების, მაღლის სულის მაღლებულია, მეშვიდე ფსალმუნში იკითხება: „ნუსადა წარიტაცის ვითარცა ლომმან სული ჩემი, არავინ იყოს მხსნელ ჩემდა, არცა მაცხოვარ“ (7,3). ლომის მეტაფორული სახე თავის მხრივ საგალობელშიც გვხვდება: „ვითარცა ლომმან მიუძღოდით მიიხვნ“, რომელშიც ქრისტეს მიცემულის ზებუნებრივი ძალთა წარმოსახული.

არსენ ბულმაისიმისძის „გალობანი წმიდისა მოციქულისა ნინოისი“ მრავალმხრივ საყურადღებო და მნიშვნელოვანი ძეგლია, შესრულებული ამაღლებული სტილით, ხატოვანი ინტონაციით, რომელშიც ჰიმნოგრაფი მის მხატვრულ სახეებს, გამოთქმებს, რელიგიურ-დოგმატურ ფრაზეოლოგიას ქმნიდა და რასაც საფუძვლად ჰაგიოგრაფიული მონათხრობი უდევს. ავტორი საგალობელს ქმნიდა საქართველოს ძნელბედობის ჟამს, როდესაც უცხო სარწმუნოების და უცხო ტომის ხალხი ცდილობდა ჩვენი ქვეყნის დაპყრობას, საფრთხე ემუქრებოდა ქრისტიანობას, ერს მოელოდა სულიერი გადაგვარება, კათალიკოსი და სულიერი მოძღვარი არსენ ბულმაისიმისძე სწორედ ამ დროს შეახსენა ქართველებს ნინოს ღვაწლი და დამსახურება.

ნესტან სულავა